№ 49
კვირა,
25 ოქტომბერი
1909 წ.

ცოცხალი

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 49
კვირა,
25 ოქტომბერი
1909 წ.

წარმოდგენა 10. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 10.

კვირას, 25 ოქტომბერს 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და **სვ. სვიმონიძის** მონაწილეობით:

ორი ჯიბგირი

მელოდრამა 5 მოქ. და 6 სურ. თარ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნ: გამყრელიძე, გედეკანოვი, გრიშაშვილი, გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშკილი-ხაშმელი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანი შვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწვაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: «ქოჩრიანი ტოროლა»«იმედის დაღუპვა», «უკვდავი ზღაპარი».

მთრიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. შრუშაძე.**

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ძმ. გუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 30 ოქტომბერს 1909 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება:

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქ. კარაევისა, თარგ. ჩიკვაძისა.

ეჭიმთან

კომ. 1 მოქ. ი. გომართელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: თ. აფხაზიშვილი, ნ. ბაქრაძე, თ. გოგოლაშვილი, ა. კავთელი, მ. მარგველაშვილი, ტ. საგინაშვილი, მ. ქართველიშვილი, ე. ცომაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, გ. გელიკურაშვილი, გომელაური, მ. გოგია, ა. მეტრეველი, ვ. მატარაძე, მირველოვი, ს. პეპენოვი, ს. რომანოვი, რ. სალაყაია, შ. შალიკო, ნ. ჭანკვეტაძე, ჯიბლაძე.

დასაწყისი სადამოს 8 სათზე.

გამგე **ა. ყორანაშვილი.**

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალაბჯევი ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

გურკო ა. გ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

მანსვეტაშვილი ვ. მ. შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

პირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—11.

სოგოლევსკი ვ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

თიქანაძე ი. ე. დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ—22)

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქურურგ. ავათმყ

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის **5ი** კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—22)

სად სუმბათოვოში

ილ. ალ. საბახტარაშვილის სახერხავმა ქარხანამ დაწვის გამო დროებით შესწყვიტა შენაკვეთის (ზაკაზების) შესრულება. თვით საბახტარაშვილი განაგრძობს ზაკაზების მიღებას, როგორც წარმომადგენელი ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნისა მათი

იმპ. უდ. დიდი მთავრის

მიხეილ ნიკოლოზის ძისა.

ძველ ზაკაზებსაც შეძლებისა და გვარათ დააკმაყოფილებს იმავე ბორჯომის ქარხნისაგან, ფასები იგივე დარჩება. თვით სუმბათოვოს ქარხანა ადრე იქნება აღდგენილი. პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე. ადრესი: ст. Сумбатово, Ил. Ал. Сабахтарашвили.

(3—2)

მმართველი **ი. ა. ხოშტარია.**

სამშაბათს ამა ოქტომბრის 27-ს
ქართულ თეატრში
წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგ. მიერ
გაიმართება

ი. ჭავჭავაძის სალამო.

1 **განყოფილება:** სქესი, სიყვარული და „განდეგილი“, ლექცია გრ. რობაქისა.

2 განყოფილება: კონცერტი ნ. გაბუნია-ცაგარლის, **ვანო სარაჯიშვილის** ი. ბარათაშვილის და სხ. მონაწილეობით.

3 განყოფილება: ცხოველი სურათები **ილიას თხზულებიდან.** (დედა და შვილი, გაზაფხული, აჩრდილი, გუთნის დედა, კაკო, დიმ. თავდადებული)

დეკლამაციით.

ცხოველ სურათებში მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, გაბუნია-ცაგარლისა, მდივანი, რომანიშვილი, ჩერქეზიშვილი და ფ. ჯაფარიძე; ბ-ნნი: გვარაძე, ზურაბიშვილი, ივანიძე, მესხი და ჯაფარიძე.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი,

4—3

თფილისი, 25 ოქტომბერი.

დღეს რუსეთის ცხოვრებაში დადგა ისეთი წუთი, როცა რევოლიუციასთან და მის ნაშთებთან ბრძოლა საჭირო აღარაა. 4 უკანასკნელი წლის განმავლობაში მთავრობამ, დაყრდნობილმა ფეოდალებზე და კონტრევოლიუციონურ ბურჟუაზიაზე, შესძლო ძლევა განმათავისუფლებელ მოძრაობისა იმდენათ, რომ მისი შიში ახლა აღარავის აღარ აქვს. ყველგან ცხოვრება მოდუნებულია, ყველგან სამარისებური სიჩუმეა, სოციალური დემოკრატია კანონს გარეშეა გამოცხადებული და მისი მძლავრი ხმა აღარ მოისმის. დღემდის რევოლიუციასთან ბრძოლა აერთებდა მემამულეებს, მსხვილ ბურჟუაზიას, ბიუროკრატიას და მათი ლოზუნგი იყო ძლიერი მთავრობა, რომელსაც უნდა მოესპო ყოველგვარი მოძრაობა. ამ ლოზუნგის მომხრე გახდა მესამე დუმაც, განმ. მოძრ. წარმოშობილი დაწესებულება და ჩვენ ცხოვრებაში სრულიად ახალი ხილი. მემამულეების, ბურჟუაზიის და დუმის მოღვაწეობა მიმართული იყო იმაზე, რომ ხელი შეეწყოთ მთავრობისათვის, ის ზნეობრივათ გაემაგრებიათ აჯანყებული, კალაპოტთან გადმოხეთქილ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მთავრობამ ეს ბრწყინვალეთ შეასრულა, მან დროებით შეაჩერა მოძრაობა, მაგრამ მისივე მოკავშირე ბურჟუაზია მისგან მოითხოვს დაპირების შესრულებას—მშვიდობიანობასთან ერთათ რეფორმებიცო. ბურჟუაზიას, ნუ იტყვით იმას, რომ არ ესაჭიროებოდეს არავითარი უფლებრივი ნორმები, რომ ის ასეთუ ისე არ იყოს დაინტერესებული კონსტიტუციონურ წყობილებაში, რასაკვირველია, იმისთანა კონსტიტუციაში, საცა მის ხელშია მთელი ძალა-უფლება. ამგვარი წესების დამყარებას კი ესაჭიროება შემოქმედებითი ნიჭი, დადებითი მუშაობა. ამდენ ხანს მთავრობის მუშაობა კი მხოლოდ უარყოფითი იყო, ეხლა სწორეთ ამ შემოქმედებითი ნიჭის გამოჩენაა საჭირო მთავრობისა და დუმის მხრით, რომ წარმოყენებული მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს. აბა ჩაუკვირდით ბიუროკ მოქმედებას, როგორ იჩენს თავის რეფორმატორულ ნიჭს! მისთვის დღესაც, როგორც წინათ არსებობს ფეოდალები და მათი ინტერესები, არსებობენ შავრაზმელები და მათი მისწრაფებანი, რაიც იმათ გარეშეა, ის ყოველივე—ანტისახელმწიფოებრივია. ის ადგენს კანონ-პროექტებს საერობო და საქალაქო დებულებისას პოლონეთისთვის, მაგრამ ისეთ მუხლებს ურევს შიგ, რომ სრულიად ჭარწყლდება პრინციპი ყოველგვარი თვითმართველობისა. პროექტის ძალით თვითმართველობას ზევიდან ბატონათ, გზირათ ყავს ადმინისტრაცია, რომელიც შედის განხილვაში არა იმისა, რას აკეთებს თვითმართველობა, არამედ იმისა, რა აზრმა შეიძლება გაუელკოს გულში რომელიმე პოლონელს და მოჩვენება ხომ კაი საქმე არაა. და ასეთი მოჩვენებით რომ შეპყრობილია ჩვენი მმართველი წრეები, ეს უკვე საქმით დაამტკიცეს და მომავალიც ამის მაგალითებს უხვათ მოგვცემს. ამ განპირა ქვეყნებს ამ ბოლო დროს ბიუროკრატია ყველაზე უფრო ავიწროებს და უკანასკნელი აქტი ფინლიანდელების წინააღმდეგ სამხედრო ბეგარის ფულათ გადახდევინების შესახებ, აშკარა დამამტკიცებელია ამის. ის არც თავისიანებისთვის, თვით შუაგულ რუსეთისთვის იმეტებს დიდ რამეს: კანონ-პროექტები სარწმუნოების შესახებ მთავრობას დუმიდან უკან გააქვს, მას თავისავე შემუშავებული კანონები და ორი წლის წინათ დუმაში წარდგენილი ლიბერალურათ მოეჩვენა და დღეს საჯაროთ თავის შეცდომას აღიარებს და გაიძახის: რა ვუყოთ, შეცდომა ვის არ მოუვა, მხოლოდ, შეცდომას დროზე უნდა გასწორებაო. განა ეს ნაბიჯია მარტო? კიდევ სხვა ბევრი, რომელიც ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ აღგვინიშნავს და რომლებიც მხოლოდ შავრაზმელების სიხარულს იწვევენ. ეს უკანასკნელები ახლა მზათ არიან მთავრობას „პატრიოტის“ მოწოდება მისცენ.

საინტერესოა დუმის პოზიცია და დუმაში კი ხელმძღვანელი ფრაქციის,—ოქტომბრისტებ-ს: გაყვებიან ისინი მთავრობას ბოლომდის თუ გაჰკიჩენენ შემოქმედებითი მუშაობის უნარს? ჯერ ამის ნიშნები არაა. უნდა ვთქვათ, რომ ოქტომბრისტების მდგომარეობა სწორეთ კრიტიკულია: თავისავე ამომრჩევლებმა მათ მოსკოვში უნდობლობა გამოუცხადეს, მათმა „სიეზდმა“ დუმაში მათი მოქმედება დაიწუნა; ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, დუმის გახსნისთანავე ისინი გამოიჩენდენ ცოტა რამე ფხას, ჩასჭიდებდენ ხელს იმ კანონ-პროექტს, რომლების განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას თვით მათი „სიეზდი“ საჭიროთ სცნობს, თვით მსხვილი ბურჟუაზია მოითხოვს და რომელთა განხორციელება მოდუნებულ ცხოვრებას გაყინულ წერტილიდან დასძრავდა ცოტათ არის მაინც. თუ ეს მათ არ წამოაყენეს დუმის გახსნისთანავე, სულ ერთია—ამ კითხვების გვერდის შერება ყოვლად შეუძლებელია; მდგომარე და მომავალ წელიწადში კითხვები პიროვნების ხელშეუხებლობაზე, განსაკუთრებულ წესებზე, სასამართლოებზე, ადმინისტრაციის სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობაზე, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლების შესახებ და სხვა ბევრ რამეზე მათ თავისი სიტყვა უნდა თქვან; მათი დარჩენა ან სრული გაქარწყლება მთავრობასთან შეერთებით და ან ცოტაოი მაინც მარცხნით ნაბიჯის გადადგმა. რომელს აირჩევენ ოქტომბრისტები, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

საზოგადოებისაგან მოწონებული ჰავბროსები

სიმპატია და № 8

ბოზარჯიანცის და ოვილების ფაბრიკისა

მუდამ სხვებზე უკეთესი იყო და ეხლა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია. რის გამო ყოველდღე ფაბრიკა უშვებს 700,000 ცალს. ასეთი კოლოსსალური წარმატებას **»სიმპატიამ“** და № 8-მ მიაღწიეს მხოლოდ და მხოლოდ თავის უმაღლესი დირსების და არომატის გამო, რაც ზოგიერთ ჩვენ კონკურენტებს აიძულებს მიმართოს ჩვენი ეტიკეტების **«პადდელკას“**, რაკ ფაბრიკას არა ერთხელ უცნობებია და დღესაც აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, „სიმპატიის“ და № 8-ის მყიდველებს. აკციზის მომატების შემდეგ, ფაბრიკა იძულებული შეიქნა მოემატებია ფასები ზემოხსენებულ პაპიროსებზე, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთ მცირე ფასის მომატებას შეეძლო უკმაყოფილება გამოეწვია მყიდველთა შორის, რომელნიც დარჩენილნი იყვენ დიდ ხანს 5 კაპ. გადახდას 6 კაპ. მაგიერათ. არც ჩვენ კონკურენტებს სძინავთ; ერთმა მათგანმა ისარგებლა ჩვენ მიერ ფასების მომატებით და რეკლამებით აუწყა საზოგადოებას აკციზის მხოლოდ 18 პროც. გადიდება, რითაც მას სურდა დაეანახვებია თამბაქოს მწეველ საზოგადოებისთვის, რომ ვითომ ფასის გადიდებაში არ იყო არავითარი საჭიროება. ყველა ამის შესწდეგ **ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ—ურთ.**

თამბაქოს ფაბრიკა **ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ—ურთ.**

თფილისის სასახლო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგ. დღეს გაიმართება ორი წარმოდგენა დილით ძლიერ დაკლებულ ფასებში 1) **„სევილიელი დალაქი“** 2) „კოპელია (ბაღატელი); ლეტი, მე-2 მოქმედ.); საღამოს: 1) **„კამორკა“** 2)„კოპელია (ბალეტი). მონაწილეობენ ქ-ნნი: არდი, დეროსტოფსკაია, ფერარი; ბ-ნნი: ბორისენკო, ბარსოვი, გელეცკი, გურონი, დემიანენკო, ევლახოვი, კორჩმარევი, პევცოკი, სოკოლსკი. დილით დასაწყისი 12 საათზე, საღამოს 8 ს. ფასები ს ღამოს ჩვეულებრივია. ხვალ ხელმისაწვდომ ფასებში 20 კ.-დან „პიკოვაია დამა“, სამშაბათს, 27 ოქტომბერს **gala** წარმოდგენა «მხიარული ქვრივი», მზადდება პუჩჩინის **M-me «ბატერფლაი».**

(0—17)

ყოთ მთავრობისათვის, ის ზნეობრივათ გაემაგრებიათ აჯანყებული, კალაპოტთან გადმოხეთქილ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მთავრობამ ეს ბრწყინვალეთ შეასრულა, მან დროებით შეაჩერა მოძრაობა, მაგრამ მისივე მოკავშირე ბურჟუაზია მისგან მოითხოვს დაპირების შესრულებას—მშვიდობიანობასთან ერთათ რეფორმებიცო. ბურჟუაზიას, ნუ იტყვით იმას, რომ არ ესაჭიროებოდეს არავითარი უფლებრივი ნორმები, რომ ის ასეთუ ისე არ იყოს დაინტერესებული კონსტიტუციონურ წყობილებაში, რასაკვირველია, იმისთანა კონსტიტუციაში, საცა მის ხელშია მთელი ძალა-უფლება. ამგვარი წესების დამყარებას კი ესაჭიროება შემოქმედებითი ნიჭი, დადებითი მუშაობა. ამდენ ხანს მთავრობის მუშაობა კი მხოლოდ უარყოფითი იყო, ეხლა სწორეთ ამ შემოქმედებითი ნიჭის გამოჩენაა საჭირო მთავრობისა და დუმის მხრით, რომ წარმოყენებული მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნეს. აბა ჩაუკვირდით ბიუროკ მოქმედებას, როგორ იჩენს თავის რეფორმატორულ ნიჭს! მისთვის დღესაც, როგორც წინათ არსებობს ფეოდალები და მათი ინტერესები, არსებობენ შავრაზმელები და მათი მისწრაფებანი, რაიც იმათ გარეშეა, ის ყოველივე—ანტისახელმწიფოებრივია. ის ადგენს კანონ-პროექტებს საერობო და საქალაქო დებულებისას პოლონეთისთვის, მაგრამ ისეთ მუხლებს ურევს შიგ, რომ სრულიად ჭარწყლდება პრინციპი ყოველგვარი თვითმართველობისა. პროექტის ძალით თვითმართველობას ზევიდან ბატონათ, გზირათ ყავს ადმინისტრაცია, რომელიც შედის განხილვაში არა იმისა, რას აკეთებს თვითმართველობა, არამედ იმისა, რა აზრმა შეიძლება გაუელკოს გულში რომელიმე პოლონელს და მოჩვენება ხომ კაი საქმე არაა. და ასეთი მოჩვენებით რომ შეპყრობილია ჩვენი მმართველი წრეები, ეს უკვე საქმით დაამტკიცეს და მომავალიც ამის მაგალითებს უხვათ მოგვცემს. ამ განპირა ქვეყნებს ამ ბოლო დროს ბიუროკრატია ყველაზე უფრო ავიწროებს და უკანასკნელი აქტი ფინლიანდელების წინააღმდეგ სამხედრო ბეგარის ფულათ გადახდევინების შესახებ, აშკარა დამამტკიცებელია ამის. ის არც თავისიანებისთვის, თვით შუაგულ რუსეთისთვის იმეტებს დიდ რამეს: კანონ-პროექტები სარწმუნოების შესახებ მთავრობას დუმიდან უკან გააქვს, მას თავისავე შემუშავებული კანონები და ორი წლის წინათ დუმაში წარდგენილი ლიბერალურათ მოეჩვენა და დღეს საჯაროთ თავის შეცდომას აღიარებს და გაიძახის: რა ვუყოთ, შეცდომა ვის არ მოუვა, მხოლოდ, შეცდომას დროზე უნდა გასწორებაო. განა ეს ნაბიჯია მარტო? კიდევ სხვა ბევრი, რომელიც ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ აღგვინიშნავს და რომლებიც მხოლოდ შავრაზმელების სიხარულს იწვევენ. ეს უკანასკნელები ახლა მზათ არიან მთავრობას „პატრიოტის“ მოწოდება მისცენ.

საინტერესოა დუმის პოზიცია და დუმაში კი ხელმძღვანელი ფრაქციის,—ოქტომბრისტებ-ს: გაყვებიან ისინი მთავრობას ბოლომდის თუ გაჰკიჩენენ შემოქმედებითი მუშაობის უნარს? ჯერ ამის ნიშნები არაა. უნდა ვთქვათ, რომ ოქტომბრისტების მდგომარეობა სწორეთ კრიტიკულია: თავისავე ამომრჩევლებმა მათ მოსკოვში უნდობლობა გამოუცხადეს, მათმა „სიეზდმა“ დუმაში მათი მოქმედება დაიწუნა; ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, დუმის გახსნისთანავე ისინი გამოიჩენდენ ცოტა რამე ფხას, ჩასჭიდებდენ ხელს იმ კანონ-პროექტს, რომლების განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას თვით მათი „სიეზდი“ საჭიროთ სცნობს, თვით მსხვილი ბურჟუაზია მოითხოვს და რომელთა განხორციელება მოდუნებულ ცხოვრებას გაყინულ წერტილიდან დასძრავდა ცოტათ არის მაინც. თუ ეს მათ არ წამოაყენეს დუმის გახსნისთანავე, სულ ერთია—ამ კითხვების გვერდის შერება ყოვლად შეუძლებელია; მდგომარე და მომავალ წელიწადში კითხვები პიროვნების ხელშეუხებლობაზე, განსაკუთრებულ წესებზე, სასამართლოებზე, ადმინისტრაციის სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობაზე, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლების შესახებ და სხვა ბევრ რამეზე მათ თავისი სიტყვა უნდა თქვან; მათი დარჩენა ან სრული გაქარწყლება მთავრობასთან შეერთებით და ან ცოტაოი მაინც მარცხნით ნაბიჯის გადადგმა. რომელს აირჩევენ ოქტომბრისტები, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ოქტომბერი.

საზღვარ-გარეთ

საზოგადოებათა პალატა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ოპოზიციის ლიდერმა ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა რომლითაც დახასიათა ბიუჯეტი, როგორც სოციალური მოღვაწეობა, რომელიც ეხება კერძო საკუთრებას, ურომლისოთაც ქვეყნის კეთილდღეობა შეუძლებელია. ასკვიტმა უპასუხა, რომ ბიუჯეტმა სანქცია მიიღო პარლამენტის უმრავლესობისაგან, რომელიც ერთათ-ერთი მთავრობაა.—საფინანსო ბილლი მიღებულ იქნა 379 ხმით წინააღმდეგ 149 ხმისა. კენჭის ყრის გათავების შემდეგ ლიბერალებმა ოვაცია გაუმართეს ასკვიტს და ლლოიდ-ჯორჯს.

ხმების გაბათილება.

პარიჟი. ათინიდან გავასს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტყუილია ის ხმები, თითქო ფლოტში აგიტაციას ეწეოდენ.

რუსეთი

თავდასხმა.

ნოვოროსიისკი. ვოლჟსკო-კამსკი ბანკს თავს დაესხა ხუთი შეიარაღებული უცნობი. გაიტაცეს 3,387 მანეთი და გაიქცნენ.

თავდასხმა და ხუთი კაცის დახოცვა.

მოგილევი გომელსკის მაზრის სოფელ კრუპეცში სამმა ბოროტ-მოქმედმა გაძარცვა არყის დუქანი, საიდანაც წაიღეს 300 მანეთი. შემდეგ წავიდენ მღვდელ ჩულიცის სახლში. მოკლეს ის, მისი მამა, მღვდელ ჩერკასოვის ცოლი, მისი ქალი და ადგილობრივი მასწავლებელი ტიშკევიჩი. დასჭრეს მღვდელი ჩერკასოვი, მღვდელ ჩულიცკის ცოლი, მოხელე კონსტანტინოვი და მისი დედა. მძარცველებს არაფერი არ წაუღიათ ისე გაიქცენ. მათ დასაჭერათ ენერგიული ზომები მიიღეს.

ყუმბარების საწყობი.

ბაქო. გუშინ ღამით ერთ კერძო ბინაზე აღმოაჩინეს იარაღების და ყუმბარების საწყობი. იპოვნეს რამდენიმე ათასიკი პატრონა, გილზები, წამალი და თოფის სხვადასხვა ნაწილები. დაიჭირეს შვიდი კაცი.

ბეითალთა სიეზდი.

პეტერბურგი. 1910 წლის 3—12 იანვრამდე მოსკოვში გაიხსნება ბეითალთა მეორე სიეზდი.

სასამართლო.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ საექიმო კურსების ყოფილ თავისუფალ მსმენელ ქალს სინანის რვა თვის ციხე გადაუწყვიტა ს.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრობისათვის.

— სენატმა უყურადღებოთ დატოვა საპატიო მომრიგებელ მოსამართლის და

ოლონეცკის ერობის ხმოსან კლენნიკოვის საკასაციო საჩივარი. ის დაჯარიმებული იყო სამსახურის დროს სიტყვით პოლიციელის შეურაცხყოფისათვის.

ხოლერა.

პეტერბურგი. ავათ გახდა 6, მოკვდა 3, ავათ არის 198. ახლო-მახლოე—რთი, მოკვდა 1. ავათ არის 10.

ვოლოგდა. გუბერნიაში ხოლერით ავათ ვახდა21 —22 ოქტომბერს 6, მოკვდა—3.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

არდებილის მდგომარეობა. სპარსეთიდან მიღებული ცნობებით არდებილი უკვე შახსევანელების ხელშია. ხანგრძლივმა ბრძოლამ, რომელიც არდებილის გარშემო სწარმოებდა, აშკარათ დაანახვა ყველას, რომ ძველი რეჟიმის ძალებთან სერიოზული ანგარიშის გაწევაა საჭირო. ქალაქი ძალიან დაზარალდა შახსევანელებისაგან: ქარვასლა და სხვა სავაჭრო სახლები განადგურებულია. ქალაქის მთავრობამ გუბერნატორთან ერთათ თავი შეაფარა რუსეთის საელჩოს. სათარხანმა შემთხვევით მოასწრო გაქცევა. მას დარაჯები ყავდა მიჩენილი, მაგრამ მან რამოდენიმე მხლებელით მაინც მოახერხა ღამით ქალაქიდან გაპარვა.

არდებილში რუსეთის ჯარს ელიან. რეაქციონერების გამარჯვებას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ახლანდელ სპარსეთის მთავრობაზე. არდებილის მოძრაობას ხელმძღვანელობდა სამღვდელოება. ის ყოველგან ენერგიულ აგიტაციას ეწევა კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგ. არდებილისა და მისი მიდამოების მცხოვრებთა მდგომარეობა უნუგეშოა.

ოსმალეთი

ლეიტენანტი ტიპალდისი. როგორც დეპეშებიდან ვიცით, საბერძნეთში სამხედრო აჯანყება მოხდა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა სამხედრო კავშირის რადიკალური ფრთა ლეიტენანტ ტიპალდისის მეთაურობით. აჯანყება მალე ჩააქრეს. ტიპალდისი თავისი ამხანაგებით დაატუსაღეს. მინისტრთა საბჭომ დაადგინა: აჯანყებაში მონაწილეობის მიმღები სამოქალაქო სასამართლოს წესით გაასამართლონ. სამინისტროს საქმის გართულების ეშინია, ვინაიდან ტიპალდისის საბერძნეთის მეზღვაურებში ბევრი მომხრეები ყავს.

რუსეთი.

ახალი საარჩევნო კანონი. დუმის კულუარებში ხმები გავრცელდა, მთავრობა ახალ საარჩევნო კანონს ამზადებსო. პროექტის ავტორათ ასახელებენ კრიჟანოვსკის. ზოგიერთ გაზეთებში ახალი საარჩევნო კანონის ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილებიც კია დასტამბული, სახელდობრ, მსხვილ ქალაქებში პირდაპირ არჩევნები მოსპობილ იქნება; სამღვდელოების უფლებები გაფა თოვებულ იქნება; მესაკუთრე გლეხებს განსაკუთრებული საარჩევნო უფლება მიეცემათ. ამბობენ აგრეთვე, რომ სახელმწიფო დუმას დათხოვა მოელის, თუ დუმბაძის, ტოლმაჩევის ან „ჰეშმარიტ რუს. კავშირის“ შესახებ მეტანილი შეკითხვა მიღებულ იქნა. ცხადია, ამ უკანასკნელი ხმების ავტორნი თვითონ მემარჯვენენი უნდა იყონ.

ოქტომბრისტების პოზიცია. ოქტომბრისტების ლიდერს ა. ი. გუჩკოვს ამ დღეებში სტოლიპინთან მოლაპარაკება ჰქონია. ამის შემდეგ ოქტომბრისტთა ლიდერს განუცხადებია, მემარჯვენე ოქტომბრისტთა უმრავლესობა ძველებურათ განაგრძობს მოქმედებასო.

მუშათა დეპუტაცია. ურალის მუშათა დეპუტაცია დეპუტატ ეგოროვის თანხლებით, 17 ოქტომბერს ვერხ-ისეტის სამთომადნო ქარხნების უმთავრეს სამართველოში იყვენ. დეპუტაცია მიიღო გრაფმა სტენბოკფერმორმა. მან მუშებს განუცხადა: „სამმართველო ახლო მომავალში გამოგზავნის ფულს, რომ მუშებს ანგარიში გაუსწორონ. ოლქის ქარხნებს რომელიმე ბანკში დააგირავებენ.“ ამავე დღეს დეპუტაცია იყო ვაჭრობის მინისტრთან, ტიმირიაზევთან, რომელმაც იგივე გადასცა მუშებს, რაც სტენბოკ-ფერმორმა.

საზღვარ-გარეთი

ისევ ბურცევი. საზღვარ-გარეთელ გაზეთებში ბურცევმა ახალი წერილები დასტამბა. ბურცევი საქვეყნოთ აცხადებს, რომ ანარქისტ-ექსპროპრიატორს, ოსიპ ბლიცს ოდესის გრადონაჩალნიკთან, ტოლმაჩევთან დაახლოვებული კავშირი აქვსო. „რ. ს.“ კორესპონდენტის სიტყვით, ამ გამოქვეყნების დამამტკიცებელი საბუთები სახელმწიფო დუმის დეპუტატების ხელშია ამ ჟამად.

აბდულ-აზისი. „ტიმესს“ ტანჟერიდან ატყობინებენ; „სულთან მულაი-გაფიდის ძმა, რომელსაც გაზაფხულზე სამხედრო აჯანყება უნდოდა მოეხდინა, ამ ჟამად ტაცშია. მას მაროკოს კანონიერ სულთანათ გამოუცხადებია ტახტიდან ჩამოგდებული აბდულ აზისი, რომელიც ამ ჟამად ტანჟერშია. ფეცში აჯანყებაა. სულთანმა ტაცში ძლიერი რაზმი გაგზავნა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

—

ჩამოხჩობა. 24 ოქტომბერს, დილით 5 საათზე ჩამოახჩეს გ. გოგინაშვილი, ი. დარახველი და ს. ხარიშიანცი, რომელთაც კავკასიის სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდათ მისჯილი.

—„თფ. ფურც.“ დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდან: 23 ოქტომბერს დილით ბათუმის ციხის ეზოში ჩამოახჩვეს ბიქტორ რამიშვილი, ილია ცინცაძე, პროკოფი დოლიძე და კოწია ჟღენტი, ექიმ ტრიანდაფილიდისის მკვლელობისათვის“.

✦ **არეულობა ბაქოს სატუსაღოში.** ოფიციალური ცნობით სამშაბათს ნაშუადღევის 5 $^1/_2$ საათზე ბაქოს ცენტრალურ სატუსაღოში არეულობამ იფეთქა მიზეზი სადილის დაგვიანება იყო. ციხის უფროსმა რევოლვერი გაისროლა ჰაერში და, მისი სიტყვით, ამის შემდეგ მშვიდობიანობა აღდგენილ ექნა. („კასპი“).

✦ **თფილისის ტრამვაის** დირექციამ უკვე 100-მდე ახალი მოსამსახურე კონდუქტორ-ვატმანები მიიღო, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ახალ პირობებში სამსახურზე. დირექციის დადგენილებით ახალი მოსამსახურეები უპირველეს ყოვლისა უთავრესათ რუსები უნდა იყონ, ამასთანავე, უცოლ-შვილონი და „ზაპასნოი“ სალდათები და პოლიტიკურათ კეთილ საიმედობის მოწმობები ადმინისტრაციისაგან უნდა წარადგინონ. ტრამვაის დირექციას განუზრახავს აგრეთვე მოსამსახურეებისათვის უკვე დაარსებული ბიბლიოთეკა სამკითხველოს სრულიად გაუქმება და იმ შენობაში, სადაც სამკითხველოა, „ამბულატორიის“ გადტანა. ბიბლიოთეკა 4 წელია, რაც არსებობს.

✦ **კავკას. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა კრება მოხდა პარასკევს, 23 ოქტომბერს. გასარჩევათ კრებას შემდეგი კითხვები წარუდგინეს. 1) თფილისის საბაღოსნო სკოლის გამგის არჩევა. 2) სკოლის მოსამსახურეთა შტატის შეცვლა. 3) სკოლისათვის სესხის აღების ნებართვა. საკითხი სკოლის შტატის შეცვლის შესახებ კრებამ შემდეგისათვის გადასდო. საზოგადოების საბჭოს აზრია ეკონომის ადგილი გაუქმდეს და მისი ვალდებულება მასწავლებლებს მიენდოს. კრებაზე სკოლის მართველათ დაასახელეს პ. გ. მელია, რომელიც ერთი წელიწადი სკოლის დროებით გამგეთ ყოფილა. ფარული კენჭის ყრით უმეტეს ხმით სკოლის გამგეთ პ. მელია აირჩიეს. ამის შემდეგ თავჯდომარემ კრებას სკოლის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა გააცნო და სესხის აღების ნებართვა ითხოვა. კრებამ გადაწყვიტა—აიღონ სესხი 600 მ. კრებას ისიც აცნობეს, რომ საბაღოსნო სკოლის მზრუნველათ საბჭომ ნ. ე. არგუტინსკი აირჩია. საზოგადოების საპატიო წევრათ კრებამ აირჩია ა. ქალანთარი.

✦ **ახალი საზოგადოება** თფილისში არსდება ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელიც სოლოლაკში ელექტრონის სტანციის აგებას აპირებს.

✦ **სამრევლო სკოლების მზრუნველი** სამრევლო სკოლათა საეპარქიო საბჭომ თფილისის მაზრის სამრევლო სკოლათა მზრუნველათ დაინიშნა მომრიგებელი შუამავალი თავადი ი. ი. ვაჩნაძე.

✦ **ტყის ჯიშების შესასწავლათ** მომავალ წელში ჩამოვა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების ერთი ჯგუფი, რომელიც კავკასიის სხვადასხვა ადგილებში დაათვალიერებენ ტყეებს.

✦ **იურიდიული საზოგადოების კრება.** გუშინწინ, 23 ოქტომბერს, ოლქის სასამართლოს დარბაზში ძლივს შესდგა იურიდიული საზოგადოების კრება: დაესწრო 11 წევრი და ამდენივე გარეშე ხალხი. საზოგადოების თავმჯდომარე ლემერმანმა განაცხადა, რომ გ. გვაზავას წინააღმდეგ, რომელმაც საერობო თათბირში მონაწილეობა მიიღო, როგორც იურიდიულ საზოგადოების წარმომადგენელმა, ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილი იყო უსაბრალო შენიშვნა, რომ გვაზავა არა-მკითხე წარმომადგენელი იყო, რადგან ამის უფლება არ ქონდაო. ამიტომ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, დავადგინოთ, რომ ბ. გვაზავა ჩვენი საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელი იყოო. ნაფიცმა ექიმმა ანუშკევიჩმა დაუმატა: სავსებით ვეთანხმები ბ. გვაზავას სიტყვებს, თითბირზე წარმოთქმულთ დასკვნებს წესრიგის დამრღვევ ნაბიჯად ვცნობ. ამის წინააღმდეგ სხვებმა შენიშნეს, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვთქვათ, რომ გვაზავა სწორი გამომხატველი იყო იურიდიული საზოგადოების შეხედულების საერობო კითხვებზე და ამიტომ ამ მხრით არც წარმომადგენელი დაერქმევაო. კრებამ დაადგინა: ინციდენტი გათავებულათ ჩაითვალოს. შემდეგ ა. მაჩაბლიშვილმა წაიკითხა რეფერატი ცნობილ კრიმინალისტ ფ. ლისტის მოხსენების გამო: „ბოროტ-მოქმედება, როგორც სოციალურ-პატოლოგიური მოვლენა“. რეფერატი საინტერესო იყო, თუმცა მეტათ სქემატიური ხასიათი ქონდა. კრებამ მადლობა გადაუხადა ბ. მაჩაბლიშვილს და ტაშის ცემით დააჯილდოვა.

✦ **ხმოსან ნ. ელიავას** საქმის შესახებ დღეს, 25 ოქტომბერს შესდგება სხდომა იურიდიულ კომისიისა, რომელიც თავის დადგენილებას წარუდგენს ქალაქის გამგეობას ხსენებულ ხმოსნის საბჭოდან გამორიცხვის შესახებ.

✦ **დრამატიული საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა: ქართული თეატრის მსახიობ ქალის ნატალია გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო გადაიხადოს **იუბილე** ქართულ თეატრში 1909 წ. 29 ნოემბერს. გამგეობა და ამ საქმისთვის არჩეული განსაკუთრებული კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას შეატყობინოს, თუ რა სახით ინებებენ ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას.

✦ **უმბარების საწყობი სომხურ ეკლესიაში და სასამართლო.** 23 ოქტომბერს თფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა უმართებულეს სენატის მიერ დაბრუნებული საქმე შუშის სომხურ ეკლესიის მღვდლების გარეგინ იოანესიანცისა, იზუმიანცისა და ვართაპეტიანცისა, რომელთაც აღნიშნულ ეკკლესიის შენობაში ბომბების შენახვა ბრალდებოდათ. ელისავეტპოლის საოლქო სასამართლომ მღვდლები და ეკლესიის ოთხი მოსამსახურე დამნაშავეთ იცნო, მხოლოდ თფილისის სამოსამართლო პალატამ მღვდლები გაამართლა. პროკურორმა პალატის დადგენილება გაასაჩივრა. უმაღ-

---

მწვანე ფრინველი

(სპარსული ზღაპარი)

დროშევიჩისა.

დიდებულმა ვეზირმა მუგაბედინმა შეაგროვა ყველა თავისი ვეზირები და უთხრა მათ:

— რაც მეტათ ვაკვირდები ჩვენს მართველობას, მით უფრო ცხადათ ვხედავ ჩვენს უგნურობას და სისულელეს.

ყველანი გაოცდენ, მარა სიტყვის შებრუნება კი ვერც ერთმა ვერ გაბედა.

— რას ვაკეთებთ?—განაგრძო ისევ დიდებულმა ვეზირმა.—ჩვენ ვსჯით ბოროტმოქმედებს. ამაზე მეტი სისულელე იქნება?

— როდესაც უნდათ რომ ბოსტანი გასწმინდონ, გამარგლონ, ცუდ ბალახებს ფესვებიანათ თხრიან. ჩვენ, ცუდ ბალახებს მხოლოდ თავებს ვაკვეცავთ, ამის გამო ცუდი ბალახები უფრო მეტათ იზდებიან და ხარობენ. ჩვენ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. მოქმედების ფესვები კი სად არის?

— აზრებში. ჩვენ აზრები უნდა ვიცოდეთ, რომ შეგვეძლოს ცუდი მოქმედების წინდაწინვე გამოცნობა. თუ გვეცოდინება აზრი, მხოლოდ მაშინ შევიძლებთ გამოვიცნოთ ცუდი და კარგი კაცი. გვეცოდინება ვისგან რას უნდა მოველოდეთ. მხოლოდ მაშინ დაისჯება ბოროტ-მოქმედება და კუთვნილი მიეძღვნის სიკეთეს. მანამ კი, ჩვენ მხოლოდ ბალახებს თავებს ვაკვეცთ და ძირები კი ისევ თავის ალაგას რჩებიან, რისგანაც ბალახი ერთი-ორათ მეტათ იზდება.

განცვიფრებულმა ვეზირებმა ერთი-მეორეს გადახედეს.

— მაგრამ აზრი ხომ თავში მიმალულია!—წარმოსთქვა ერთმა მათგანმა, რომელიც ყველაზე უფრო მოთამამე იყო, —თავი კი—ეს ისეთი ძვლის ყუთია, როდესაც გასტეხ მას, აზრები იქით-აქეთ მიფრინავენ.

— აზრი ისეთი დაუდეგარია რომ, თვით ალაჰმა შექმნა მისთვის გასასვლელი.—პირი!—წამოიძახა დიდებულმა ვეზირმა.—არ არის შესაძლებელი, რომ ადამიანს ქონდეს რამე აზრი და ის ვისმეს არ გაუზიაროს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თვით უსაიდუმლოესი აზრი ადამიანთა, —ისეთი აზრი, რომელსაც იგინი მხოლოდ თავიანთ მახლობლებს უზიარებენ, როდესაც შიში არა აქვთ, რომ ჩვენ დავყურებთ მათ.

ვეზირებმა ერთხმათ სიხარულით წამოიძახეს:

— რადგან ეგრეა, უნდა გავამრავლოთ მაბეზღართა რიცხვი.

დიდებულმა ვეზირმა ჩაიცინა:

— ერთ კაცს აქვს შეძლება, მეორე მუშაობს, მაგრამ აი ისეთი კაცი: მას არც კაპიტალი აქვს და არაფერს კი არ აკეთებს,—სჭამს კი ისე, როგორც ყველა, რომელთაც ალლახის დიდება არ აკლია! ყველა ერთბაშათ მიხვდება: ეს—მაბეზღარია. და ყველა მასთან თავდარიგიანობას დაიწყებს. ასეთი მაბეზღრები ჩვენ ისედაც ბევრი გვყავს, მაგრამ მათ რა სარგებლობა მოაქვთ? გავამრავლოთ მათი რიცხვი,—ეს იმას მოასწავებს, რომ ვცარცვოთ ხაზინა!

ვეზირებმა აღარ იცოდენ რა ეთქვათ.

— ერთი კვირის ვადას გაძლევთ! უთხრა მათ მუგაბედინმა... ამ ერთი კვირის შემდეგ მოხვალთ და მეტყვით, როგორ შევიძლებთ სხვის აზრების გამოცნობას, თუ არა და, თქვენ ყველას შეგეძლებათ მიბძანდეთ თავ-თავისთვის. გახსოვდეთ რომ, საქმე ეხება თქვენს ადგილებს! ეგრე, წადით!

განვლო ექვსმა დღემ.

ვეზირები, ერთმანეთის შეხვედრის დროს, მხოლოდ ხელებს აქნევდენ.

— მოიფიქრე?

— გარდა მაბეზღარობისა, ვერაფერი ვერ მოვიფიქრე. შენ?

— მაბეზღრობას გარდა მაგ საქმისთვის დ დამიწას უკეთესი არაფერი არ შეუქმნია!

დიდებული ვეზირის სასახლეში ცხოვრობდა ერთი ვინმე აბლ-ედინი, კაცი ახალგაზდა, ოხუნჯი და მასხარა.

საქმეს ის არაფერს არ აკეთებდა.

ესე იგი, არავითარ აზრიანს საქმეს ახლოს არ ეკარებოდა.

მხოლოდ სხვადასხვა ხუმრობას გამოიგონებდა პატივცემულ პირებზე. მისი ხუმრობა მოსწონდათ უმაღლეს პირებს, რადგან იგი სახუმროთ იღებდა დაბალი წრის ადამიანებს, ამიტომ აბლ-ედინის ოხუნჯობას გასავალი ჰქონდა.

ვეზირებმა მიმართეს მას.

— ერთხელ და სამუდამოთ გამოიგონე რამე ჭკუიანური, სისულელეებს თავი გაანებე!

აბლ-ედინმა სთქვა:

— ეს არც ადვილი საქმეა.

აბლ-ედინმა ისეთი ფასი ითხოვა, რომ ვეზირებმა ერთბაშათ სთქვეს:

— ეს კაცი, დიახაც არ არის სულელი!

დაუთვალეს მას ფულები და აბლ-ედინმა უთხრა ვეზირებს:

— თქვენ ყველას დაგიხსნით, მაგრამ რა გზით,—ეს თქვენთვის სულ ერთი არ არის? განა დამხჩვალისთვის სულ ერთი არ არის—წყლიდან თმებით გამოათრევენ თუ ფეხებით?

აბლ-ედინი წავიდა დიდებულ ვეზირთან და უთხრა:

— შენგან მოცემული გამოცანის გამოცნობა შემიძლიან.

— როგორ? ჰკითხა მუგაბედინმა.

— შენ, როდესაც მებაღისაგან თხოულობ ატმებს, მებაღეს ხომ არ ეკითხები: როგორ მოიყვანა, როგორ გაზარდა მან ატმები? მებაღე ხის ძირს ნაგავს მოაყრის და ამის გამო ხე ტკბილ ატმებს იბამს. ასეა სახელმწიფო საქმეც. შენთვის რა საჭიროა წინდაწინვე იცოდე, თუ როგორ მოვახერხებ მე ამას. მე ვიმუშავებ—შენ ნაყოფი მიირთვი—უპასუხა აბლ-ედინმა.

— რა არის ამისთვის საჭირო?

— ერთი რამ. რაც უნდა სისულელე არ გამოვიგონო, შენ ამის თანახმა უნდა გახდე. თუნდაც შენ შიშმა შეგიპყროს რომ ჩვენ: მე და შენ, ამისთვის საგიჟეში ჩასმაც მოგველოდეს.

— მე თუმც ჩემს ადგილზე დავრჩები, მაგრამ, შენ კი წვეტიან სარზე ჩამოგაცმენ!—უთხრა მუგაბედინმა.

— შენი ნება იყოს. ერთი პირობა კიდევ. პურს თესენ შემოდგომიდან, აგროვებენ კი ზაფხულზე. შენ მე უნდა მომცე დრო ამისთვის, ერთ მთვარის გამცვლიდან მეორემდის. ამ ძველი მთვარის დროს, მე ვთესავ, და მეორე ძველი მთვარის დროს,—შენ მომკევი.

— კარგი. მაგრამ გახსოვდეს, რომ საქმე ეხება შენს თავს.—მიუგო მუგაბედინმა.

აბლ-ედინმა ჩაიცინა:

— კაცს წვეტიან სარზე აჯდენენ და ეუბნებიან, რომ საქმე თავს ეხებაო. და მისცა დიდ ვეზირს გამზადებული ქაღალდი ხელის მოსაწერათ. ვეზირმა თავში ხელი იტაცა, როდესაც წაიკითხა იგი:

— მე ვხედავ, რომ შენ საშინლად მოგდომებია სარზე ჩამოჯდომა!

მაგრამ შეპირებას ვეღარ უღალატა და ქაღალდს ხელი მოაწერა. მხოლოდ იმ ვეზირს, რომელიც მართლმსაჯულების საქმეებს განაგებდა, ბრძანება მისცა.

— ამ ახალგაზდისთვის რაც შეიძლება კარგა იმედიანად წაუძწვეტეთ სარს თავი.

მეორე დღეს თეირანის ქუჩებში საყვირების და ბარაბანების ხმებთან ერთათ გაჰყვიროდენ:

თეირანის მცხოვრებნო!

იმხიარულეთ!

თეირანის მცხოვრებნი განცვიფრებულნი დარჩენ.

ვეზირები ერთი მეორეს ჩუმათ ეკითხებოდენ:

— ვინ უფრო გიჟია?

— აბლ-ედინი, რომელმაც ასეთი ქაღალდი დასწერა? თუ მუგაბედინი, რომელმაც მას ხელი მოაწერა?

აბლ-ედინმა ინდოეთიდან აუარებელი თუთიყუშები გამოიწერა, და, რადგან ერთი ორჯერ მეტათ ჰკადა მათ, ამიტომ კარგა ბლომათ ფულების პატრონიც გახდა.

სახლში იყოლიოს **თუთიყუში** ეს ფრინველი გამართონელია, როგორც ბავშვებისთვის, ისე მოზრდილთათვისაც, შეადგენს ოჯახის მორთულობას. ინდოელების მდიდარი ჰაჯები ასეთ ფრინველს ყოველთვის ინახავენ სასახლეში, რათა გაერთონ. დე, თვითეული სპარსელის სახლი დამშვენდეს ისე, როგორც დამშვენებულია ინდოელი მდიდარი ჰაჯებისა. ეს კიდევ ცოტაა! თვითეულ სპარსელს უნდა ახსოვდეს, რომ დიდებული „ფარშავანგის ტახტი“ ჩვენი მბძანებელთა ბრძანებელისა, რომელიც მის წინაპრებს ბრწყინვალე ომის დროს უდიდებულეს მოღვაწეობისთვის წაურთმევიათ, გაკეთებულია ერთი ზურმუხტის მთელი ვეებერთელა ნაჭერისაგან. აი ეს „ფარშავანგის ტახტი“ შემკულია თუთიყუშით. ასე რომ, ამ ზურმუხტის ფერ ფრინველის დანახვაზე, თითეულ სპარსელს ძალა უნებურათ მოაგონდება „ფარშავანგის ტახტი“, და მაზედ მჯდომარე მბძანებელთა ბძანებელი. თუთიყუშების შეძენის ზრუნვა ყველა კეთილი სპარსელისათვის, ჩვენმა მოამაგე მუგაბედინმა მიანდო აბლ-ედინს, რომელსაც მისცემენ ღირსეულ ფასს, და ისიც ყველა სპარსელს თუთიყუშს უშოვის. ეს ბძანება სისრულეში უნდა მოვიდეს ახლო მომავალში, სანამ მთვარე გამოიცვლებოდეს.

თეირანის მცხოვრებნო!

იმხიარულეთ!

თეირანის მცხოვრებნი განცვიფრებულნი დარჩენ.

ვეზირები ერთი მეორეს ჩუმათ ეკითხებოდენ:

— ვინ უფრო გიჟია?

— აბლ-ედინი, რომელმაც ასეთი ქაღალდი დასწერა? თუ მუგაბედინი, რომელმაც მას ხელი მოაწერა?

აბლ-ედინმა ინდოეთიდან აუარებელი თუთიყუშები გამოიწერა, და, რადგან ერთი ორჯერ მეტათ ჰკადა მათ, ამიტომ კარგა ბლომათ ფულების პატრონიც გახდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

I.

(ᲬᲘᲜᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲐᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲔ ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐᲛᲓᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ

ᲙᲐᲢᲔᲤᲜᲘ

ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲗ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ 20 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲘᲡ.

ᲓᲐᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ, ᲣᲜᲔᲛ ᲫᲛᲔᲑᲘ **ᲙᲐᲢᲔ** ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝ

ᲝᲠᲒᲐᲜᲖᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲮᲚᲐᲡᲢᲘᲜᲙᲔᲑᲘ

ᲡᲝ ᲮᲚᲐᲡᲢᲘᲜᲙᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ.

ᲡᲝ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

24 სმ., 28 სმ., და 50 სმ.

ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ

ᲐᲖᲠᲔᲗᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲓᲐ ᲝᲡᲣᲠ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ასლათ ჩანაწერი შეუდარებელი ახასტასია დიმიტრის ასულის **ᲕᲘᲐᲚᲪᲔᲕᲘᲡᲐ.**

ᲔᲠᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ **ᲙᲐᲠᲚᲝ ᲨᲣᲛᲐᲜᲘ** ᲡᲐᲮᲢᲝ ᲡᲐᲬᲣᲝᲑᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲡᲙᲘ, 10.

ᲐᲛᲘᲢᲐᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲠᲝ ᲐᲜᲐᲠᲓᲐᲗ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ.

6—1

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲝ ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲠᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲗ **1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ**

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ 25 მანეთიდან

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ.

თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიაცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—6)

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲚᲐᲓᲘ

ი. ᲐᲮᲝᲖᲐᲫᲘᲡᲐ

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:

„ᲡᲕᲔᲠᲒᲐᲢᲘᲜᲘ“

ავთომყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.

„ᲐᲚᲛᲔᲖᲐ“

რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სტოლი 40 კ.

„ᲙᲚᲐᲙᲝᲕᲜᲘ“ სჭობს ბაღდინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი ბროშეურსთან გაუმთხდისა სუსუნატისა არჩენს ძვლებს და ხასხს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.

„ᲙᲠᲘᲛᲐ“ სჭობს თმის ქერწყლსა და აჩერებს თმის ჩამოვარსა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ გეგზავნიო ფას დადებითი. ბროშეურები უფასოთ. 6—4

მე-II ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘ

(უკანასკნელის წინა განყ.) **ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლაში, რომელსაც „ჩინის“ მისაღები უფლება აქვს**

იხსნება 1 ნოემბრიდან. მეცადინეობა იწყება ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე. ნახევარი წლის სასწავლო ფული 60 მან. უნდა შემოიტანონ წინდაწინ. მოსამსახურეებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ველიკოკნიაჟესკაია, № 17, შესავალი მიხეილის ქუჩიდანაც აქვს № 16 –18, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ. (3—ნ.—3)

ᲔᲫᲘᲜᲘ

პ. ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ

ბავშვების და შინაგანი ავთომყოფ.

კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანტსკოს პირდაპირ მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.

Уголъ Меликовской и Александровской ул. (0—12)



ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილსში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

№ 0	бут.	— 15 к.	16	бут.	— 2 р. 10 к.
№ 1	„	— 20 к.	16	„	— 2 р. 80 к.
№ 2	„	— 25 к.	16	„	— 3 р. 60 к.
№ 3	„	— 35 к.	16	„	— 5 р. 10 к.
№ 4	„	— 50 к.	16	„	— 7 р.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Михаилу Николаевичу Кодалову.

ᲮᲐᲡᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲗ

„ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ“

თფილისი, გაგზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწვდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და (0—4) **ეგნატე შერვანაგა.**

წერილები სპარსეთიდან

4.

ბაქოდან რეშტამდე.

ნახევარ საათში მივედით ერთ დიდ ბაღის კარებთან. სამი ქცევა ალაგი საუცხოვო მცენარეულობით და ხეხილებით არის რიგზე გაშენებული: გზები დაყოფილ-დასუფთავებული, ხეები რიგში შესხეპილ-გაკრეჭილი, ყვავილები თავბრუს გასხამს; იშვიათი ყვავილი—„მარიამი“, იასამანი, ახლათ გაშლილი წითელი მიხის ვარდი, ფერდობებში საჩრდილებელი ფოთოხალ-ლიმონის ხეები, შუაზე პატარა პავილიონები—თავლწარმტაც სურათს წარმოადგენენ. (ყვავილების მოვლა-გაშენება აქაურმა მებაღეებმა უკეთ იციან, ვინემ ევროპაში). შუაში, თავბრუ დამხვევ ყვავილებში, დგას უზარმაზარი სასახლე კრამიტით დახურული, ისე, როგორც თაიგული. ბაღის ბოლოში გაშენებულია პატარა სახლები მოსამსახურეებისათვის.

ჩვენს შესვლაზე სასახლის გამგე შეიგვეგება და გაგვიღო სახლის კარები. განიერი კიბე მოფენილია ძვირფასი ხალით, რომელიც პირდაპირ ხალაში შედის. ხალა მოფენილია აბრეშუმის ხალით, კედლებზე სხვადასხვა სურათებია, ევროპეული და ძვირფასი ხავერდის. მაგიდები გადაკრულია მშვენიერი ნაქარგავი აბრეშუმით, კედლებზე დიდი სარკეები; ყოველმხრივ სახლს მოაჯირი, პატარა შუშაბანდის ოთახები და გადასახედი აქვს გაშლილ თვალწარმტაც მდელო-ბაღისაკენ!..

აი, აქ ქეიფობდა რეშტის გუბერნატორი; როდესაც იქ ის ქალალდის თამაშს შეეჩვია, აქაური ხანის, მუიზამ სულთანის მეთაურობით შეიპარა 7 გურჯი და ერთი რუსი შიგ სასახლეში და მოკლეს გუბერნატორი და ოთხი რეაქციონერი ხანი. აქ გადაწყდა რეშტის აღების ბედი.

დიდხანს ვერ გაეძელ ამ ადგილას, სადაც არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს ეხლა. აქვე დაამწყდიეს რევოლიუციონერებმა ცნობილი ზილი სულთანე (შახის ბიძა), რომელსაც დიდძალი ქონება ჩამოართვეს—მითხრეს ჩემმა მოსაუბრეებმა. ჩვენ გამოვედით ბაღის და შიგ აშენებულ პავილიონების დასათვალიერებლათ, რომლებიც გრეხილი ყვავილებით არის ერთმანეთზე გადაბმული...

ერთ ხეივნის ბოლოში ნახევრათ ჩადრწამოსხმული პატარა სპარსელი ქალიშვილი დაგვხვდა და საუცხოოთ შეკრული ბოზდილი თაიგული მოგვართვა—„იაშასუნ გურჯო“! ამ სიტყვებით.

გული სიხარულით ამევსო, გრძნობას გზა მიეცა და თვალებზე სიხარულის ცრემლები გაგვიბრწყინდა. ჩვენ ჩვენი თავის არ გვჯეროდა, რაღაც და-ძმური, ნაზი გრძნობა გულში იღვიძებდა და იმედი გულს გვიხალისებდა. გუშინ აქ ასეთ ქალიშვილებს ყიდდენ. აქ მონობის და გარყვნილების უმზგავსო ხარხარი ისმოდა და დღეს რაღაც ნაზი, უმწიკვლო, ფაქიზი გრძნობა და პატივისცემა იღვიძებდა გულში...

მოვშორდით ბაღს...

ჩვენი ეტლი გაჩერდა შუა ქალაქში ვეებერთელა გადამწვარ სასახლის წინ. ეს იყო მოკლულ გუბერნატორის სასახლე ქალაქში.

აქ სულ 14 კავკასიელი იბრძოდა. როდესაც გუბერნატორი ქალაქ გარეთ მოკლეს, იმ წამშივე აქ გამოტარებულ ჯარის-კაცთ თავს დაეცა მცირე ჯგუფი და რაკი საქმე გაჭირდა, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ეს სასახლე უზარმაზარია თავისი ჰარამხანებით, აბანოებ-ეზოთი...

საღამოს ოთხ საათზე სადილათ მიგვიწვია მირზა-ქარიმ-ხანმა, რომელიც აქ დიდ როლს თამაშობს და რომლის ძმა, მუი-სულთანი, სამხედრო მინისტრ სეპეხდარის თანაშემწეა თეირანს. მისი სასახლე რეშტშია და ისეა მოწყობილ-შემკული, რომ ჩვენ ვერც კი მოვთვლით იქაურ ავეჯეულობა-მხატვრობის სახელს. პირველი მისალმების შემდეგ მან პოლიტიკაზე დაიწყო ლაპარაკი და ის აზრი გამოთქვა, რომ რეაქცია თუმც იქნება, მარა გამარჯვება მაინც ჩვენიაო. მან ასე გაათავა სიტყვა: „ჩვენ ჯერ კიდევ ორი რევოლიუცია გვჭირია, რომ პარლამენტი ნამდვილი ხალხის გამომხატველი იყოსო და როდესაც ჩვენ ეს მოსაზრება განუმარტეთ, ის სიხარულით წამოიჭრა და ხელი ჩამომართვა...

შეღამდა. დიდი ზალა ელექტრო-გაზმა გაანათა, დიდი ჰაერი ათასნაირათ ჰიოდა და დიდ კედლის სარკეში სხვადასხვა ძვირფასი სამკაულები ბრჭყვიალებდა. ჩემ წინ სავარძელში იჯდა ახალგაზდა ხანი და მისი ცოცხალი ლაპარაკი, ტანის მიხვრა-მოხვრა ამტკიცებდა, რომ ახალი ძალები მზადდებოდა. რუსეთის შესახებ მან ასე გაათავა სიტყვა: ჯერ რუსეთის პოლიტიკამ ჩვენ მაჰმად ალი შახი მოგვაშორა და ამ რუსეთისთვის სასიამოვნო სტუმარს ჩვენც იოლათ ვუთმობთ, მხოლოდ, რაც შეეხება ირანის მიწა-ადგილს, ეს ჯერ კიდევ კითხვაო!.. ინგლისი ძლიერ ეშმაკურათ იქცევა, მაგრამ ამას ჩვენც ვუწევთ ანგარიშსო, ოსმალეთთან ჩვენ კარგ განწყობილებაში ვართ, მხოლოდ ჰკუიანი კაცები გვჭირიაო, გაათავა სიტყვა. ამ დროს ვახშმათ მიგვიწვიეს სასადილო ოთახში, სადაც მუხლ-მოკეცილებმა ვიეახშმეთ...

გლასა მგელაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

მომდგენელმა ქქ. ჯიჯინასემ განაცხადა ახალი „წრის“ კრებაზე: გამგეობამ ახლა გადასწყვიტა სექციის საქმეების გაცნობაო. ასეთი განცხადების შემდეგ რაღაც კვეშირზე დაბარაც მეტია. უეჭველისთვის აშკარაა, რომ კავშირი იურ მხოლოდ იურიდიული, ნომინალური.

უკანასკნელმა კონფლიქტმა, რომელიც რეორგანიზაციის კითხვამ გამოიწვია, აიძულა სექციის წევრებს მიემართათ სახ. უნივერსიტეტის კამგეობისათვის, მაგრამ უკანასკნელმა ვერაფერი გაარიგა და სჯერ დღესაც იმ მდგომარეობაში გახლავთ, რაგორშიაც ზაფხულის დამდეგს იყო.

მაინც, ასე იურ თუ ისე სჯერს ისევ ის სექცია აწარმოებდა და მიმდინარე საზოგნიც მას დაიწყო.

18 ოქტომბერს, ე. ი. გასულ კვირას მოხდა ახალი „წრის“ დამფუძნებელი კრება. წრეს სახელათ ეწოდება: „ზუბალაშვილის სახელობაზე არსებულ სახალხო სახლში ქართული სახალხო წარმოდგენების გამმართველი წრე“. მისი წესდება დამტკიცებულია 7 სექტემბერს.

ამ პირველმა კრებამ დანიშნა ბან მეკობარს, რომ „სექციას გასჩენია შიგნით ჭია, რომელიც პირველ ხანებში უბიწირათ დრდნის მის გულს და მით მასაც დასმარებას უქადის“. ამ ჭიას წინეთაც უჭენია თავი. ეს უოფილა ზაფხულში ატეხილი „მოდემიკა ერთი მხრით ბ.ბ. ტოროშელიძისა და სვირელის და მეორე მხრით სექციის დანარჩენ წევრთა შორის“. წინეთ სიბაბი მოდემიკისა ბ. მეკობარს სერიოზულათ მოჩვენებია, მაგრამ მისივის აშკარა, რა ამოძრავებდათ ბ.ბ. ტოროშელიძეს და სვირელს. ამის უტყუარ გასაღებათ ახალი წრის დაარსება და მისი დამფუძნებელი კრება მიაჩნია ბ. მეკობარს, მაგრამ ამ უტყუარი გასაღებითაც ვერ გამოუტეხია საქმის მდგომარეობა და თვითონ ბრძანებს: „ეს ჯერ კიდევ გამოცანაა, თუ რამ გამოიწვია ახალი წრის დაარსება და რათ დასჭირდათ არსებულ სექციის დანგრევა“. რაგორ მოგწონთ, მკითხველო, უტყუარი გასაღები და გამოცანის აუხსნელათ დარჩენა? თუ გასაღები აქვს უნდა გაიღოს კიდეც. გასაღები სწორეთ გასაღებათ არის გამოგონილი, მაგრამ ეს მეტის დელიკატობით უნდა მოდიოდეს ბ. მეკობარს. დელიკატობაც მეტათ სახ მოკლეა. მართალია, ის იქნე ამბობს გაშოცანის ახსნა მკითხველისათვის მიგვანდვოთო, მაგრამ ვერ ითმენს და ქვევით თვითონ ბრძანებს: წრემ თავიდან მოიშორა მუშა ელემენტები; ამისთვის შემოიღო მაღალი გასავსინც და წევრობაც რჩეულთ არგუნათ. რაგორც ხედავთ, ბ. მეკობარმა გამოცანა მაინც თვითონ ირგუნა, მაგრამ ამას ნუ გამოგუდგებით და საქმეს არსებითად შევეხოთ.

ზეგითაც მოგახსენეთ, ჩვენმა მეკობარმა არც ძველი და არც ახალი ამბავი არ იცის თურმე და ძველის შესახებ დაგარწმუნეთ კიდეც. ახლა გნახოთ ახალი ისტორია.

ნიკო ელიავა.

(დასასრული იქნება.)